

## კომუნიკაცია გლობალიზაციის ეპოქაში

### დალი ნიქაბაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველო

e-mail: [dalichurzidze@yahoo.com](mailto:dalichurzidze@yahoo.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.31>

მოხსენება ფოკუსს ახდენს ორ აქტუალურ ფენომენზე: გლობალიზაცია და კომუნიკაცია, თუმცა ძირითადი სამიზნე ამ შემთხვევაში არის თარგმანი.

გლობალიზაცია ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პროცესია. დუდენის რედაქციის მიხედვით გლობალიზაცია წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურისა და სხვა სფეროებში მიმდინარე პროცესების ერთობლიობას [DUDEN].

„მსოფლიო მასშტაბით გაფართოება, გაერთიანება ვაჭრობის, ტრანსპორტის, კომუნიკაციისა და პოლიტიკის სფეროში. წარმოების დარგში კი – ბიზნესის გაფართოება / გაერთიანება საერთაშორისო ბაზრებზე მოგების სარგებლობის და კონკურენციის შანსების გაზრდის მიზნით“, ვკითხულობთ გერმანული ენის ციფრულ ლექსიკონში [DWDS].

გლობალიზაცია ხშირად განიხილება როგორც ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროცესი, თუმცა არსებითად კომუნიკაციური პროცესია. ყოველი საერთაშორისო მოლაპარაკების, მრავალმხრივი შეთანხმების, ყოველი სამეცნიერო პუბლიკაციის წინაპირობას წარმოადგენს კომუნიკაცია ენობრივი ბარიერების გადალახვით. საერთაშორისო ორგანიზაციებში მრავალენიანობა პოლიტიკური ლეგიტიმიზაციის წინაპირობას წარმოადგენს. ენობრივი თანასწორობა პოლიტიკური თანამონაწილეობის გარანტია.

გლობალიზაცია წარმოუდგენელია თარგმანის გარეშე. ყოველი საერთაშორისო კოოპერაცია, ტრანსნაციონალური ინსტიტუცია, თუნდაც ციფრული პლათფორმები, ენობრივ მედიაშია დაამყარებული. ამასთან თარგმნა ბევრად უფრო მეტია ვიდრე სიტყვების უბრალო ტრანსფერი, ეს კულტურული პროცესია.

ისტორიულად თარგმნა მუდმივად ემსახურებოდა ცოდნის გაცვლას, დღეს კი მისი ფუნქცია ძირფესვიანად შეიცვალა.

შმიდტი და ცურშთიგე კომუნიკაციას უწოდებენ ინფორმაციების გაცვლას, რომელსაც გააჩნია როგორც შინაარსობრივი, ასევე ფორმალური განზომილება [Schmidt/Zurstiege 2000: 11].

რაც შეეხება „კომუნიკაციას“, იგი ლათინური წარმოშობისაა და აღწერს მდგომარეობას, რომლის პირობასაც წარმოადგენს ინფორმაციის გაცვლა მონაწილე პარტნიორებს (მხარეებს) შორის სიმბოლოთა საერთო სისტემის საშუალებით [Kleinsteuber 1997: 46 f].

კომუნიკაცია ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა ადამიანებს შორის კავშირის დასამყარებლად, რომლის დროსაც ხდება სხვადასხვა ინფორმაციის გაცვლა, კომუნიკაციის საშუალებით შესაძლებელია პარტნიორს რაიმეს შესრულება. შესაბამისად, ველოდებით რეაქციას. აქედან გამომდინარე, კომუნიკაცია დამყარებულია ორმხრივ ურთიერთობაზე.

ეს ორი ფენომენი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. გლობალიზაცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არის ზრდადი გლობალური გართიანების პროცესი, ხოლო კომუნიკაცია წარმოადგენს მის იარაღს.

კვლევის ძირითადი პრინციპის განსაზღვრისათვის გამოვეყოფდი რამოდენიმე მიმართულებას:

- თარგმნა როგორც ხიდი კულტურებს შორის;
- თარგმნა როგორც ძალაუფლების იარაღი;
- თარგმნა დიგიტალიზაციის ეპოქაში;

მოხსენების ამოსავალ წერტილს წარმოადგენს თარგმნა, როგორც პროცესი. ვინაიდან ის მოიაზრება როგორც კომუნიკაციის ერთგვარი ფორმა. იგი კულტურული და ამავედროულად თეორიული პროცესია.

ჯერ კიდევ ვალტერ ბენიამინი თავის ესეში „მთარგმნელის ამოცანები“ ხაზს უსვამს იმ აზრს, რომ თარგმნა ეს არ არის უბრალოდ რეპროდუქცია, კოპირება, არამედ ტრანსფორმაციაა. ნათარგმნი ტექსტი არსებობს დამოუკიდებლად ორიგინალისა და კიდევ უფრო ფართოს ხდის მის სემანტიკურ ველს [1972: 9-21].

რომან იაკობსონიც განასხვავებდა ინტრალინგვალურ, ინტერლინგვალურ და ინტერსემიოტიკურ თარგმანს და ამით აჩვენა, რომ თარგმნა არის კომუნიკაციის ძირითადი პრინციპი, თუნდაც ერთი ენის ფარგლებში. მნიშვნელობა არ არის სტატიკური, არამედ წარმოიქმნება ინტერპრეტაციის პროცესში [1959: 232-239].

ლოურენს ვენუტი მეორეს მხრივ ყურადღებას ამახვილებს მთარგმნელის „არახილვადობაზე“. მრავალ კულტურულ კონტექსტში იმ შემთხვევაში ითვლება თარგმანი წარმატებულად, თუ ის, როგორც ასეთი, არ არის შესაძრევი. თუმცა სწორედ ეს „არახილვადობა“ ფარავს, რომ ყოველი თარგმანი იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რაზეა აქცენტი გადატანილი, რა უნდა მიეწოდოს მკითხველს შელამაზებული ფორმით და რა რჩება უცნობი [1995: 1-20].

ამ შემთხვევაში ისმის კითხვა, თუ რამდენად ნეიტრალური შეიძლება იყოს თარგმანი. როდესაც ხდება რაიმე ტექსტის თარგმნა, მას თან ახლავს:

- შერჩევა, კერძოდ, რომელი ნაწარმოები შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი;
- პერსპექტივა, ანუ, რომელი ერთეული როგორ უნდა ითარგმნოს;
- სამიზნე ჯგუფი (ვისთვის არის განკუთვნილი?).

როდესაც ნაწარმოები შერჩევითი ნიშნით (რომელი ნაწარმოები როგორ უნდა ითარგმნოს) ითარგმნება, ამ შემთხვევაში ვერ იქნება თარგმნა ნეიტრალური, იგი ბეწვის ხიდზე გადის ერთგულებასა და „მორგებას“, კულტურულ დიფერენციაციასა და წაკითხვადობას შორის. გლობალურ საკომუნიკაციო სივრცეებში ეს დამაბულობა გადადის ახალ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ განზომილებაში. რადგან ამ გზით ვერ მიიღება ნათელი და სრულყოფილი სურათი ამა თუ იმ კულტურაზე.

და, თუ ჩვენ არ გვექნება სრულყოფილი და ნათელი სურათი, შესაბამისად მივიღებთ:

- გაფილტრულ, ხელოვნურად შექმნილი სურათს;
- გარკვეული ინტერესების მატარებელ სურათს;
- ან კიდევ, საერთოდ საყოველთაოდ მიღებულ, ორიგინალურობას მოკლებულ, შეხედულებას ამა თუ იმ კულტურაზე.

ეს ყველაფერი კი ქმნის საშიშროებას, თარგმანი ნეიტრალური იარაღიდან გადაიქცეს ძალისმიერი კულტურის იარაღად. შედეგად, ის ვერასოდეს გახდება კულტურებს შორის დამაკავშირებელი ხიდი.

საინტერესოა, ნიშნავს თუ არა სტერეოტიპების წარმოქმნა ავტომატურად, რომ თარგმანი ამ შემთხვევაში ვეღარ შეასრულებს კულტურებს შორის შუამავლის როლს. ან

იქნებ, ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აუცილებელია თარგმნას მეტი პასუხისმგებლობით მივუდგეთ, რათა მან თავისი შუამავლის როლი შეასრულოს.

თუმცა, თუ პირველ მოსაზრებას გავიზიარებთ, მივიღებთ პესიმისტურ სურათს. ხოლო, თუ ის შეძლებს თავისი როლი შეასრულოს, მაგრამ გარკვეულ პირობებში, მაშინ საინტერესოა, არის კი თარგმნა არსებითად პრობლემატური, თუ კონტექსტზე, ძალაუფლების მქონე სტრუქტურებსა და პასუხისმგებლობაზე დამოკიდებული.

თუ ჩვენი მიზანია, თარგმანის საშუალებით სხვადასხვა კულტურის მქონე ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირება, მაშინ თარგმნა უნდა ხდებოდეს პასუხისმგებლობით და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ის პრობლემური. ეს ის არის, რაზეც მთარგმნელი პასუხისმგებელია.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ თარგმანი მაშინ შეასრულებს მასზე დაკისრებულ როლს, თუ მასალის შერჩევის პროცესი იქნება გამჭვირვალე და იდეოლოგიური მანიპულაციისგან თავისუფალი. ეს არგუმენტი სავსებით შეესაბამება მოხსენების ძირითად პუნქტებს, გლობალიზაციას და თარგმანს.

გლობალიზაციის ეპოქაში თარგმანი არ არის ნეიტრალური იარაღი, არამედ საპასუხისმგებლო კულტურული პროცესი, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს ხალხებსა და კულტურებს შორის კავშირის განმტკიცებას. თუმცა ეს მოხდება, არჩევანის გამჭვირვალეობის და თარგმანების იდეოლოგიური მანიპულაციისგან განთავისუფლების შემთხვევაში. სწორედ მაშინ შეასრულებს თარგმანი ინტერკულტურული შუამავლის როლს.

რაც შეეხება დემოკრატიულობის პრინციპს თარგმნის პროცესში, უნდა აღინიშნოს, რომ იგი თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური ცენზურისგან და იდეოლოგიური მანიპულაციისგან.

თარგმნას ოდითგან უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. რომ არა ის, ვერ გავეცნობოდით იმ გიგანტების ნაწარმოებებს, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიდნენ ამოსავალი ენის მატარებელი ხალხის ყოფით ცხოვრებაზე, მათ მისწრაფებებზე, გრძნობებზე და ა.შ.

აქვე უნდა შევეხოთ რამოდენიმე საკითხს, კერძოდ, მრავალენიანობა და ინსტიტუციონალური პრაქტიკა.

სუპრანაციონალურ ინსტიტუციებში თარგმანის მნიშვნელობა განსაკუთრებით ნათელია. ავიღოთ მაგალითისთვის ევროკავშირი, რომელიც დამყარებულია მრავალენიანობის პრინციპზე. სამართლებრივი აქტები ითარგმნება ყველა სახელმწიფო ენაზე. ყველა ენაზე შექმნილი ვერსია იურიდიული ძალის მქონეა. აქ თარგმნა არ არის უბრალოდ სერვისი, არამედ დემოკრატიული აქტია, ვინაიდან, ენობრივი თანასწორობა გარანტია პოლიტიკური თანასწორობისა.

მსგავსი სიტუაცია არის, მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომლის საქმიანობა წარმოუდგენელია სინქრონული და წერილობითი თარგმანის გარეშე. დიპლომატიური კომუნიკაცია ენობრივი მედიაციის განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

თუმცა, ამ ინსტიტუციებშიც შეინიშნება ერთგვარი ძალაუფლების ასიმეტრია. ამას განაპირობებს ის, რომ განსაზღვრული ენები, განსაკუთრებით კი, ინგლისური ენა ხშირად წარმოადგენს სამუშაო ან წყარო ენას, ხოლო სხვა ენები – მეორეხარისხოვანია. ეს კი ნათელს ხდის, რომ თარგმანს შეუძლია თანასწორობის უზრუნველყოფა, თუმცა, იგი არსებული ძალაუფლების სტრუქტურების ფარგლებში ოპერირებს.

თემასთან ახლო კავშირშია ასევე დიგიტალიზაციის პროცესი და მანქანური თარგმანი. დიგიტალიზაციის პროცესმა ძირფესვიანად შეცვალა თარგმნის პრაქტიკა. ნეირონული ქსელები დღეს მანქანური თარგმნის შესაძლებლობას იძლევა, რაც უპრეცედენტო ხარისხით სრულდება. ისეთი აპლიკაციები, როგორცაა DeepL ან Google Translate, ინტეგრირებულია ყოველდღიურ კომუნიკაციის პროცესებში, რაც ყოველდღიურად მილიარდობით ტექსტის ავტომატურად თარგმნას ხდის შესაძლებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ეჭვგარეშეა ეს განვითარება დემოკრატიულ განზომილებას იძენს, რაც ენობრივი ბარიერების მოშლის საშუალებას იძლევა. შესაბამისად, ინტერნაციონალური თანამშრომლობა და ინფორმაციებზე წვდომა მარტივი ხდება. მცირე საწარმოებს შესაზღვრება ეძლევათ, გახსნან გლობალური ბაზრები, სტუდენტებს კი, სტუდენტებს შეუძლიათ გაეცნონ საერთაშორისო დარგობრივ ლიტერატურას, სოციალური მოძრაობები ტრანსნაციონალურ კომუნიკაციას ამყარებენ.

თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ტექნოლოგიურ ეფექტურობას თავისი ფასი აქვს. მანქანური თარგმანი დიდ მონაცემთა ბაზას ეყრდნობა. ენები, რომლებსაც აქვთ დიდი მოცულობის ციფრული კორპუსები, უფრო ზუსტად მუშავდება, ვიდრე ის ენები, რომლებსაც აქვთ მცირე მონაცემთა ბაზა. ეს ქმნის ახალ იერარქიებს: კონკრეტული ენის მონაცემთა ბაზის ზრდა იწვევს ამა თუ იმ ენის დომინირებას.

გარდა ამისა, მანქანებისთვის ძნელია კულტურული ნიუანსების, ირონიის, იმპლიციტური მნიშვნელობების და კონტექსტთან დაკავშირებული მინიშნებების გაგება. მიუხედავად იმისა, რომ მათ შეუძლიათ სინტაქსური სტრუქტურების ანალიზი, კულტურული ცოდნა ფრაგმენტული რჩება. ამიტომ, საქმე ეხება არა იმას, ჩანაცვლებენ თუ არა მანქანები ადამიანებს, არამედ მას, თუ როგორ განისაზღვრება მათი როლები.

გლობალიზაცია სიმეტრიული პროცესი არ არის. დომინანტური ენობრივი არეალებიდან ტექსტები უფრო ხშირად ითარგმნება, ვიდრე პირიქით. სამეცნიერო პუბლიკაციები სულ უფრო და უფრო ინგლისურ ენაზე იბეჭდება; სხვა ენების ადაპტაციაზე ზეწოლა ხდება. ამგვარად, თარგმანი კულტურული ასიმილაციის ინსტრუმენტად იქცევა. აქედან გამომდინარე, თარგმნა სელექციის ერთ-ერთი ფორმა ხდება.

რაც შეეხება მომავლის პერსპექტივას, ადამიანისა და მანქანის თანაარსებობას, უნდა აშინიშნოს, რომ ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში ჩვენ ვხედავთ არა ჩანაცვლებას, არამედ ტრანსფორმაციას. მანქანური სისტემები რუტინულ ამოცანებს ითავსებენ, აჩქარებენ პროცესებს და აფართოებენ ხელმისაწვდომობას. მეორეს მხრივ, ადამიანი მთარგმნელები იძენენ მნიშვნელობას იქ, სადაც საჭიროა კონტექსტისადმი მგრძობილობა, კულტურული რეფლექსია და ეთიკური პასუხისმგებლობა.

თარგმანის მომავალი, სავარაუდოდ, თანამშრომლობაშია: ტექნოლოგია, როგორც ინსტრუმენტი და არა როგორც შემცველი. უმნიშვნელოვანესია, რომ თარგმანი არ განიხილებოდეს მხოლოდ ეფექტურობის პერსპექტივიდან, არამედ როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კულტურული პრაქტიკა.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ:

1 გლობალიზაციის ეპოქაში კომუნიკაცია წარმოუდგენელია თარგმანის გარეშე. თუმცა, თარგმანი უბრალოდ ტექნიკურ შუამავლობაზე მეტია. ის ერთდროულად კულტურული შეთანხმებაა, პოლიტიკური პრაქტიკა და ეთიკური გამოწვევა.

2 ისინი, ვინც თარგმნიან, მნიშვნელობის სივრცეებს ქმნიან. ისინი, ვინც ავითარებენ თარგმნის ტექნოლოგიებს, აყალიბებენ გლობალურ კომუნიკაციას.

3 ამიტომ, თარგმანი არ არის მხოლოდ ლინგვისტური აქტი, არამედ გლობალური პასუხისმგებლობის ფორმა. სულ უფრო ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში. ჩვენი თარგმანების ხარისხი განსაზღვრავს, თუ რამდენად სამართლიანი, ნიუანსირებული და დიალოგური იქნება ჩვენი გლობალური კომუნიკაცია.

**საკვანძო სიტყვები:** თარგმანი, გლობალური კომუნიკაცია, ციფრული ეპოქა.

## ლიტერატურა:

- Benjamin, W. (1972): Die Aufgabe des Übersetzers. In: ders. Gesammelte Schriften Bd. IV/1, S. 9-21. Frankfurt/Main.
- Jakobson, R. (1959): On linguistic aspects of translation. In R. A. Brower (Hrsg.), *On translation* (S. 232–239). Cambridge, MA: Harvard University Press.
- <https://www.dwds.de/wb/Globalisierung#d-1-2> წვდომის თარიღი: 20.12.2026
- <https://www.duden.de/rechtschreibung/Globalisierung> წვდომის თარიღი: 20.12.2026
- Kleinsteuber, Hans J. (1997): Informationsgesellschaft - Entstehung und Wandlung eines politischen Leitbegriffs der neunziger Jahre, in: *Gegenwartskunde*, H. 1, S. 41 - 52.
- Schmidt, Siegfried/Zurstiege, Guido (2000): *Orientierung Kommunikationswissenschaft. Was sie kann, was sie will*. Reinbek b. Hamburg
- Venuti, L. (1995). *The translator's invisibility: A history of translation*. London and New York: Routledge, coll. « Translation Studies », 1995

**Dali Nikabadze**

Akaki Tsereteli state University  
Kutaisi, Georgia

e-mail: [dalichurzidze@yahoo.com](mailto:dalichurzidze@yahoo.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.31>

## Communication in the Era of Globalization

### Abstract

This article examines translation as a central practice of global communication in the age of digitalization. Starting from the premise that globalization is inconceivable without linguistic mediation, translation is understood not merely as a technique, but as a cultural and political process. Drawing on approaches from translation theory, it is shown that translation transforms meanings, negotiates cultural differences, and structures visibility.

Using institutional contexts such as supranational organizations, it becomes clear that multilingualism is intended to secure democratic legitimacy, but at the same time can reproduce existing power asymmetries. The increasing prevalence of machine translation systems is fundamentally changing the practice: While digital technologies lower communicative barriers and expand global participation, new hierarchies emerge through data-driven prioritization of certain languages and discourses.

This article argues for an understanding of translation as an ethical practice situated within the tension between efficiency and responsibility. In a networked world, the quality of linguistic mediation significantly determines how inclusive, nuanced, and equitable global

**Keywords :** Translation, communication, era of globalization, age of digitalization.